

სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო



CSB

სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო CSB

„ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების“ სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია.

დაფინანსების წყარო: 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

სავარაუდო ღირებულება 30000.00 ლარი CPV 79800000

ქ. თბილისი, 2016 წ.

1 წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის № 9 ბრძანების საფუძველზე

[www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)

## 1. ინსტრუქცია ტენდერის მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში „ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების“ სახელმწიფო შესყიდვა. აღნიშნულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დაიშვება მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებული მომხმარებელი. ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემაში (შემდგომში - სისტემა) [tenders.procurement.gov.ge](http://tenders.procurement.gov.ge)

1.2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

1.3. გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.4. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.5. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

1.7. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის - „კითხვა/პასუხი“ მეშვეობით.

## 2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

2.1. გასაწევი მომსახურება გულისხმობს: კედლის კალენდარი ორენოვანი (ქართული- ინგლისური), რომელზეც უნდა იქნას დატანილი კიბერუსაფრთხოების თემატიკა, რომელსაც მიაწვდის შემსყიდველი, სასაჩუქრე ჩანთები, საწერი კალმები, სავიზიტო ბარათები, სქელი და თხელი ზამბარიანი ბლოკნოტების, ბრენდირებული დივიდი დისკების ბეჭდვის მომსახურებას, შემდეგი ხარისხობრივი პარამეტრებისა და მოცულობის მიხედვით:

ცხრილი №1

- ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად დანართის სახით წარმოდგენილია ბრენდბუქი.
- ყველა მიწოდებულ საქონელზე უნდა იყოს დაცული ბრენდბუქში მითითებული შრიფტი, ფერები კოდების მიხედვით და პროპორციები.

№	დასახელება	ხარისხობრივი მაჩვენებლები და პარამეტრები	სავარაუდო რაოდენობა (ცალი)	შენიშვნა
1	მისალოცი და მოსაწვევი ბარათი	მისალოცი (დიზაინი), ზომა 10 სმ/21სმ, ქაღალდი 300 გრ ცარცირებული, ბეჭდვა 4/4 (კეცვით)	200	ახალი წელი (დიზაინი შემსყიდველთან შეთანხმებით)
2	მისალოცი და მოსაწვევი ბარათი	მისალოცი (დიზაინი), ზომა 10 სმ/21სმ, ქაღალდი 300 გრ ცარცირებული, ბეჭდვა 4/5 (კეცვით)		შობა (დიზაინი შემსყიდველთან შეთანხმებით)

3	მისალოცი და მოსაწვევი ბარათი	მისალოცი (დიზაინი), ზომა 10 სმ/21სმ, ქაღალდი 300 გრ ცარცირებული, ბეჭდვა 4/6 (კეცვით)	300	ცარიელი (დიზაინი შემსყიდველთან შეთანხმებით)
4	მისალოცი და მოსაწვევი ბარათი	მისალოცი (დიზაინი), ზომა 10 სმ/21სმ, ქაღალდი 300 გრ ცარცირებული, ბეჭდვა 4/7 (კეცვით)		სხვადასხვა თემატიკა (დიზაინი შემსყიდველთან შეთანხმებით)
5	კონვერტი	კონვერტი , საკანცელარიო , ზომა 10სმ/21სმ, ჩამკეტი - წებოვანი ლენტი	500	მისალოცი სთვის+მოსაწვევი
6	საქაღალდე (ფოლდერი)	280 გრ. ბეჭედი ტილო, ბეჭდვა - ციფრული 4 ფერში (კვეთა და ბიგოვკა) (ე.წ. კლიშე). ზომა: 33,7x23,3სმ.	1000	
7	კალენდარი	კალენდარი (დიზაინი), ზომა ა3, 12 ფურცელი, ქაღალდი 300 გრ ცარცირებული, ბეჭდვა 4/4 , პირველ და ბოლო ყდაზე გლუვი ლამინაცია 1/0, აკინძვა თეთრ ზამბარაზე + რიგელი	150	თემატური ინფო (დიზაინი შემსყიდველთან შეთანხმებით)
8	კალენდარი	კალენდარი (დიზაინი) , ზომა ა5, 16 ფურცელი, ქაღალდი 300 გრ ცარცირებული, ბეჭდვა 4/4 , პირველ და ბოლო ყდაზე გლუვი ლამინაცია 1/0, სადგამი 360 გრ ბრისტოლი, ბეჭდვა 0/0 , აკინძვა თეთრ ზამბარაზე	50	მაგიდის (დიზაინი შემსყიდველთან შეთანხმებით)

9	კალამი	(ლურჯი), პლატსმასის კორპუსით, ბეჭდვა 1 ფერში	500	ქართულ ენოვანი წარწერით (შემსყიდველთან შეთანხმებით)
10	კალამი (ლურჯი)	კალამი (ლურჯი), პლატსმასის კორპუსით, ბეჭდვა 1 ფერში	1500	ინგლისურ ენოვანი წარწერით (შემსყიდველთან შეთანხმებით)
11	ბლოკნოტი	ზომა ა5, გვერდების რაოდენობა -24 გვერდი, შიგთავსის ქაღალდი 80 გრ ოფსეტი, ბეჭდვა 4/0, გარეკანის ქაღალდი 300 გრ ცარცირებული, ბეჭდვა 4/0 + გლუვი ლამინაცია, აკინძვა ზამზარაზე მოკლე მხრიდან	2000	24 გვ. (შიდა ლოგო) შემსყიდველთან შეთანხმებით
12	ბლოკნოტი	ბლოკნოტი , ზომა ა5, გვერდების რაოდენობა -100 გვერდი, შიგთავსის ქაღალდი 80 გრ ოფსეტი, ბეჭდვა 4/0, გარეკანის ქაღალდი 300 გრ ცარცირებული, ბეჭდვა 4/0 + გლუვი ლამინაცია, აკინძვა ზამზარაზე გრძელი მხრიდან	150	100 გვ. შემსყიდველთან შეთანხმებით
13	ბუკლეტი	(დიზაინი), ზომა 20სმ/21სმ, ქაღალდი 170 გრ ცარცირებული, ბეჭდვა 4/4 + შუაში კეცვა	1500	სხვადასხვა თემატიკა( დიზაინი შემსყიდველთან

				შეთანხმებ ით)
14	ტრიპლეთი	ტრიპლეთი (დიზაინი), ზომა ა4, ქაღალდი 170 გრ ცარცირებული, ბეჭდვა 4/4, კეცვა	1500	სხვადასხვა თემატიკა (დიზაინი შემსყიდვე ლთან შეთანხმებ ით)
15	სავიზიტო ბარათი,	ზომა 5.5სმ / 9.5სმ, ქაღალდი 280 გრ ტილოს ფაქტურის მოყვითალო ფერის ქაღალდი , ბეჭდვა 1/0 , ფოლგირება	1000	ქართულ ენოვანი (რაოდენობ ა შემსყიდვე ლთან შეთანხმებ ით)
16	სავიზიტო ბარათი,	ზომა 5.5სმ / 9.5სმ, ქაღალდი 280 გრ ტილოს ფაქტურის მოყვითალო ფერის ქაღალდი , ბეჭდვა 1/0 , ფოლგირება		ინგლისურ ენოვანი (რაოდენობ ა შემსყიდვე ლთან შეთანხმებ ით)
17	ჩანთა	ლურჯი ფერი, ზომა: 8სმ/35.5 სმ ქაღალდი:250გრ ბრისტოლი (ლამინირებული) მატოვი, ბიუროს ლოგოთი, ცხელი ბეჭდვა ერთ ფერში და წარწერა ინგლისურ- ქართული (ცხელი ბეჭდვით) (ე.წ. ოქროსფერი კლიშე)	100	ღვინის ბოთლის ლურჯი ფერის (ბიუროს ბრენდბუქ ის მიხედვით)

18	ჩანთა	ჩანთა (ლურჯი) ლოგოთი ზომა ა3 , ქაღალდი 250 გრ ბრისტოლი, ბრისტოლი (ლამინირებული) მატოვი, ბიუროს ლოგოთი, ცხელი ბეჭდვა ერთ ფერში და წარწერა ინგლისურ-ქართული (ცხელი ბეჭდვით) (ე.წ. ოქროსფერი კლიშე)	300	დიდი ლურჯი ფერის (ბიუროს ბრენდბუქის მიხედვით)
19	ჩანთა	ჩანთა (ლურჯი) ლოგოთი ზომა ა4 , ბრისტოლი (ლამინირებული) მატოვი, ბიუროს ლოგოთი, ცხელი ბეჭდვა ერთ ფერში და წარწერა ინგლისურ-ქართული (ცხელი ბეჭდვით) (ე.წ. ოქროსფერი კლიშე)	500	პატარა ლურჯი ფერის (ბიუროს ბრენდბუქის მიხედვით)
20	ბრენდირებული DVD დისკი (ბიუროს ლოგოთი)	ბრენდირებული ქაღალდის ჩასადებით (ბიუროს ლოგოთი)	2000	(ბიუროს ბრენდბუქის მიხედვით)
21	კიბერუსაფრთხოების განვითარების სამოქმედო გეგმა ქართულ-ინგლისურ ენაზე	ყდა - 300 გრ, ცარცი. ქაღალდი ლამინირებული (მატოვი), წარწერა ერთ ფერში ტრაფარეტული ბეჭდვა, ბიუროს ლოგოთი, 150-200 გ ცარცი, აკინძვა სტეპლერით. ორ ფერში (ემბოსირებული), შიგთავსი ობსექტური ბეჭდვა ოთხ ფერში. გვერდების სავარაუდო რაოდენობა: 44 გვ.. (ე.წ. კლიშე).	300	(ბიუროს ბრენდბუქის მიხედვით)

მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი

შენიშვნა: შემსყიდველს უფლება აქვს ცხრილი №1-ით განსაზღვრულ პოზიციებზე პრეტენდენტს მოსთხოვოს ხარისხის ნიმუშები. შენიშვნა: საქონელზე უნდა იყოს დაცული ბრენდბუქში მითითებული შრიფტი, ფერები კოდების მიხედვით და პროპორციები.

შენიშვნა: დამატებით წარმოდგენილია დღეის მდგომარეობით არსებული ფოტო - მასალა, რომლის მიხედვითაც უნდა იხელმძღვანელოს მიმწოდებელმა

შენიშვნა: პრეტენდენტი ვალდებულია სატენდერო წინადადება და ფასების ცხრილი წარმოადგინოს სრულყოფილად შევსებული, დანართების ფორმით, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული.

შენიშვნა: შესყიდვის ობიექტზე წარმოების წუნის და/ან ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით) შეტყობინებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში შეცვალოს საქონელი ახლით.



### 3. მომსახურების გაწევის პირობები და ვადა:

- მომსახურება გაწეული უნდა იქნეს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2016 წლის 31 დეკემბრამდე, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო იმ პოზიციებზე სადაც დიზაინია მოთხოვნილი, შემსყიდველის მოთხოვნიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
- საბეჭდი მასალის დიზაინი და მისი სავარაუდო ვიზუალის დაკვეთა განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
- ნაბეჭდი პროდუქცია მიწოდებული უნდა იქნას შემდეგ მისამართზე: თბილისი, ც. დადიანის ქ. №30, სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს მე-3 სართული - მიმწოდებლის სახსრებით.
- ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

### 4. მიღება-ჩაბარების გაფორმების წესი:

4.1. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

### 5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

5.1. მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული ფასები უნდა იყოს საბოლოო და შეიცავდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

5.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში წინამდებარე ტენდერით გათვალისწინებული სახაზინო ანგარიშიდან, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5.3. ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე, მიღება- ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში) წარმოდგენის შემდეგ.

5.4. წინასაწარი ანგარიშსწორება (საავანსო) არ გამოიყენება.

## 6. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

6.1. რეკვიზიტები დანართი №2-ის შესაბამისად;

6.2. ტექნიკური ხარჯთაღრიცხვა დანართი №1-ის შესაბამისად;

## 7. დამატებითი ინფორმაცია

7.1. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

7.2. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და სატენდერო დოკუმენტაცია დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი ან მისი ნდობით აღჭურვილი (სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე) პირის ხელმოწერითა და/ან ბეჭდით.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან: საკონტაქტო პირი: ნათია მუკბანიანი (+995 595) 908111 ელ ფოსტა: nmukbanaini@csbd.gov.ge

**შენიშვნა: პრეტენდენტი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს აღნიშნულ ტენდერში, ავტომატურად ეთანხმება ზემოთ ჩამოთვლილ ინფორმაციას.**

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი  
ხელშეკრულება №

ქ. თბილისი

2016 წელი

ერთის მხრივ სსიპ „კიბერუსაფრთხოების ბიურო“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის მოადგილეს და მეორეს მხრივ, \_\_\_\_\_ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის \_\_\_\_\_ სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების

**1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მოწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „ტექნიკური დავალება“ – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, „ფასების ცხრილი“ დანართი 1, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

## **2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს მიერ ბეჭდვითი მომსახურების (CPV კოდი: 79800000) შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით (სატენდერო განცხადების №).

## **3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. მოცულობა და ღირებულება:

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: ----- (----- ლარი, ----- თეთრი) ლარს.

## **4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

4.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიუროს ლოგისტიკის განყოფილების უფროსი, რომელსაც შეუძლიათ ინსპექტირება განახორციელოს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად. ინსპექტირება გულისხმობს შესაბამისობის დადგენას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან, ხელშეკრულების პირობების შესრულებას, მიწოდებისათვის აუცილებელი პირობებისა და ნორმების დაცვას.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული შესყიდვის ობიექტის შეცვლა.

## **5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები**

5.1. მიმწოდებელმა შესყიდვის ობიექტის მოწოდება უნდა განახორციელოს სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ც.დადიანი ქ. №30, მე-3 სართული საკუთარი სახსრებით.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა: შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში, ვადაში, ხოლო იმ პოზიციებზე სადაც დიზაინია მოთხოვნილი, შემსყიდველის მოთხოვნიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. საბეჭდი მასალის დიზაინი და მისი სავარაუდო ვიზუალის დაკვეთა განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

5.3. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, სათანადო სასაქონლო ზედნადების ან/და ანგარიშფაქტურის თანდართვით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6.2. მიღება-ჩაბარებისას შემსყიდველი ორგანიზაცია განახორციელებს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ინსპექტირებას. ინსპექტირების შედეგებზე შედგენილ იქნება დასკვნა უფლებამოსილი პირების ხელმოწერით.

## 7. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

7.1. მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული ფასები უნდა იყოს საბოლოო და შეიცავდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

7.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში წინამდებარე ტენდერით გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3. მიღება-ჩაბარების აქტი მხარეთა შორის გაფორმდება საქონლის მოწოდების შემდეგ, „მიმწოდებლის“ მიერ შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის და/ან სასაქონლო ზედნადების გამოწერისა და სსიპ „კიბერუსაფრთხოების ბიუროს“ შესაბამისი პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი ინსპექტირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.4. ანგარიშსწორება ავანსი არ გამოიყენება.

## 8. გაწეული მომსახურების ხარისხი და გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება ხარისხიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება;

## 9. ფასები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.2 პუნქტში დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს, რომლის გაზრდა დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

## 10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვანის შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 11. მხარეთა უფლება-მოვალეობები

### 11.1. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

ა. მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი შესრულება;

ბ. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

გ. მოითხოვოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

### 11.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

ა. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ღირებულების გადახდა 7.2 პუნქტის შესაბამისად.

### 11.3 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

ა. მოსთხოვოს „შემსყიდველს“ შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

ბ. მოსთხოვოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი დაცვა;

### 11.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

ა. განახორციელოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად;

ბ. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაცვა;

დ. განიხილოს „შემსყიდველის“ პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა კითხვაზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება.

### 13. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.  
13.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

13.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

### 14. დაუძლეველი ძალა

14.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

14.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

14.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

### 15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი



15.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი პირების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრამდე.

## 17. დასკვნითი დებულებები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ერთი - „შემსყიდველთან“.

## 18. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

მიმწოდებელი

სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო

მის: ც. დადიანის ქ. N30

საიდენტიფიკაციო კოდი 200280622

პრეტენდენტის დასახელება

ტექნიკური დავალება

ფასების ცხრილი №

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	ხარისხობრივი მაჩვენებლები და პარამეტრები	რაოდენო ბა (ცალი)	ერთეულის ფასი	საერთო ღირებუ ლება

სულ ჯამური ღირებულება: არაუმეტეს ----- ლარი

ფასების ცხრილი №1-ით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვა ხორციელდება: სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში.

პრეტენდენტის ხელმოწერა \_\_\_\_\_

*რეკვიზიტები:*

•პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და სრული დასახელება

•ხელმძღვანელის სახელი და გვარი

•პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფიზიკური მისამართი

•პრეტენდენტის ელფოსტის მისამართი

•საკონტაქტო პირის ტელეფონის ნომერი

•ბანკის კოდი

•ანგარიშსწორების ანგარიში

•საიდენტიფიკაციო კოდი

პრეტენდენტის ხელმოწერა \_\_\_\_\_